

განმარტებითი ბარათი

კანონპროექტზე

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების თაობაზე“

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა. კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP), ითვალისწინებს ევროკავშირთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ენერგოეფექტურობისა და ენერჯის განახლებადი წყაროების სფეროში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის 18 აპრილს მიღებული იქნა დადგენილება „საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“, თუმცა არც აღნიშნული დადგენილება და არც „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონი არ შეიცავს განმარტებას „განახლებადი ენერჯის წყაროების“ თაობაზე, რის გამოც განახლებადი ენერჯის რესურსების შესახებ ევროკავშირის დირექტივისა (2001/77EC) და განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს სტატუტის შესაბამისად ჩვენს მიერ წარმოდგენილი იქნა ზემოთ აღნიშნული განმარტება.

ა.ბ. კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

ა.გ. კანონპროექტის ძირითადი არსი:

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ მე-2 მუხლში შემოთავაზებული დამატება განსაზღვრავს განახლებადი ენერჯის წყაროების ცნებას.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ. კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ. სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე. კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ. კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი:

კანონპროექტი არ აღგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა. კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეპტივებთან:

კანონპროექტი მოყვანილია შესაბამისობაში განახლებადი ენერჯის წყაროების შესახებ ევროკავშირის ღირეპტივასთან (2001/77EC).

გ.ბ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ. კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ. კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა. სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია და დაწესებულება, ექსპერტები რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულებს, ექსპერტებს.

დ.ბ. კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტს არ ახლავს ორგანიზაციების (დაწესებულებების) და ექსპერტების შეფასება.

დ.გ. კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი მიხეილ ნაკაშიძე.

დ.დ. კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი.